



შპს „ევო დისტრიბუშენ“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს „ეგო დისტრიბუშენ“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. გრძელვადიანი მოთხოვნები	13
5. ძირითადი საშუალებები	13
6. არამატერიალური აქტივები	14
7. მარაგები	14
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
9. ფული და ფულის ექვივალენტები	15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
11. საგადასახადო ვალდებულებები	15
12. შემოსავალი	15
13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
15. მიწოდების ხარჯები	16
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
17. პირობითი ვალდებულებები	18
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	18

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი მოთხოვნები	4	821,976	439,439	-
ძირითადი საშუალებები	5	93,354	86,462	51,708
არამატერიალური აქტივები	6	19,873	22,018	8,250
სულ გრძელვადიანი აქტივები		935,203	547,919	59,958
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	2,016,458	2,549,748	1,603,030
საგადასახადო აქტივი		-	107,285	136,477
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,847,432	2,403,688	2,004,051
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	550,686	580,618	652,019
სულ მიმდინარე აქტივები		5,414,577	5,641,339	4,395,577
სულ აქტივები		6,349,780	6,189,257	4,455,535
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
დაგროვილი მოგება (ზარალი)		(202,119)	(840,417)	(958,727)
სულ საკუთარი კაპიტალი		(201,919)	(840,217)	(958,527)
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	46,098	560,050
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	6,450,024	6,983,377	4,854,012
საგადასახადო ვალდებულებები	11	101,674	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,551,699	7,029,474	5,414,062
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,349,780	6,189,257	4,455,535

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი მოთხოვნები	4	821,976	439,439	-
ძირითადი საშუალებები	5	93,354	86,462	51,708
არამატერიალური აქტივები	6	19,873	22,018	8,250
სულ გრძელვადიანი აქტივები		935,203	547,919	59,958
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	2,016,458	2,549,748	1,603,030
საგადასახადო აქტივი		-	107,285	136,477
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,847,432	2,403,688	2,004,051
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	550,686	580,618	652,019
სულ მიმდინარე აქტივები		5,414,577	5,641,339	4,395,577
სულ აქტივები		6,349,780	6,189,257	4,455,535
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
დაგროვილი მოგება (ზარალი)		(202,119)	(840,417)	(958,727)
სულ საკუთარი კაპიტალი		(201,919)	(840,217)	(958,527)
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	46,098	560,050
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	6,450,024	6,983,377	4,854,012
საგადასახადო ვალდებულებები	11	101,674	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,551,699	7,029,474	5,414,062
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,349,780	6,189,257	4,455,535

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	12	21,743,168	18,958,188
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(19,774,217)	(16,978,381)
საერთო მოგება		1,968,952	1,979,807
სხვა შემოსავალი			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,051,306)	(1,285,508)
მიწოდების ხარჯები	15	(24,877)	(10,323)
საგარანტიო ხარჯები		(55,651)	(50,614)
მარაგების გაუფასურების ხარჯი		-	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		837,117	633,362
საპროცენტო ხარჯი, ნეტო		110,692	(4,067)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან		(291,285)	(468,009)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		31,574	45,560
		688,098	206,845
მოგების გადასახადის ხარჯი		(49,800)	(88,535)
წმინდა მოგება/(ზარალი)		638,298	118,310
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		638,298	118,310

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	12	21,743,168	18,958,188
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(19,774,217)	(16,978,381)
საერთო მოგება		1,968,952	1,979,807
სხვა შემოსავალი			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,051,306)	(1,285,508)
მიწოდების ხარჯები	15	(24,877)	(10,323)
საგარანტიო ხარჯები		(55,651)	(50,614)
მარაგების გაუფასურების ხარჯი		-	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		837,117	633,362
საპროცენტო ხარჯი, ნეტო		110,692	(4,067)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან		(291,285)	(468,009)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		31,574	45,560
		688,098	206,845
მოგების გადასახადის ხარჯი		(49,800)	(88,535)
წმინდა მოგება/(ზარალი)		638,298	118,310
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		638,298	118,310

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	200	(958,727)	(958,527)
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	118,310	118,310
31 დეკემბერი 2017	200	(840,417)	(840,217)
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	638,298	638,298
31 დეკემბერი 2018	200	(202,119)	(201,919)

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	200	(958,727)	(958,527)
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	118,310	118,310
31 დეკემბერი 2017	200	(840,417)	(840,217)
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	638,298	638,298
31 დეკემბერი 2018	200	(202,119)	(201,919)

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი



ს. კოჭიშვილი
მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	638,298	118,310
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	23,043	15,897
მოთხოვნების გაუფასურება	-	372,605
ფინანსური შემოსავლები	(100,332)	(24,696)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	291,285	468,009
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	852,293	950,125
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	533,290	(946,718)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(440,630)	(771,492)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(804,479)	1,768,862
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	208,960	29,192
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	349,434	1,029,968
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(26,618)	(48,685)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,173)	(15,733)
სესხის გაცემა	(282,205)	(439,439)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(309,995)	(503,857)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გადახდა	(45,221)	(487,387)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(45,221)	(487,387)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(5,782)	38,725
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	580,618	652,019
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(24,150)	(110,125)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	550,687	580,618

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	638,298	118,310
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	23,043	15,897
მოთხოვნების გაუფასურება	-	372,605
ფინანსური შემოსავლები	(100,332)	(24,696)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	291,285	468,009
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	852,293	950,125
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	533,290	(946,718)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(440,630)	(771,492)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(804,479)	1,768,862
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	208,960	29,192
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	349,434	1,029,968
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(26,618)	(48,685)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,173)	(15,733)
სესხის გაცემა	(282,205)	(439,439)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(309,995)	(503,857)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გადახდა	(45,221)	(487,387)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(45,221)	(487,387)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(5,782)	38,725
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	580,618	652,019
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(24,150)	(110,125)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	550,687	580,618

დირექტორი
ლევან ტურაბელიძე
29.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
სოფია გელაშვილი
29.09.2019, თბილისი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევო დისტრიბუშენ“ (205256373) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ტექნიკით, ტექნიკის აქსესუარებითა და სხვა პროდუქციით. კომპანია დაფუძნდა 2008 წელს.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

შპს კაეტანო ჯგუფი, კვიპროსი, , HE 262516, - 70%

01006013648, ლევან ტურაბელიძე - 30%

კომპანიის გენერალური დირექტორია ლევან ტურაბელიძე (01006013648)

მარეგისტრირებული ორგანოა თბილისის საგადასახადო ინსპექცია .

იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №55

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შედავატები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018, 2017 წლის 31 დეკემბერსა და 2017 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
ოფისის აღჭურვილობა	20 %
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20 %
სატრანსპორტო საშუალებები	20 %
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20 %

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდით, ცვეთის ნორმა განისაზღვრება 15%-ით.

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამებსა და მათ ლიცენზიებს.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალი ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ

ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ევო დისტრიბუშენ“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. გრძელვადიანი მოთხოვნები

კომპანიის გრძელვადიანი მოთხოვნები შედგება დამფუძნებელზე გაცემული სესხებისაგან.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2017	108,343	22,036	17,000	10,045	157,424
შემოსვლა	23,211	2,819		587	26,618
გასვლა					-
დასაშვები ღირებულება 31.12.2018	131,554	24,855	17,000	10,633	184,042
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(52,722)	(15,100)	(1,133)	(2,007)	(70,962)
ცვეთა	(13,296)	(1,649)	(3,173)	(1,607)	(19,726)
გასულების დაგროვილი ცვეთა					-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(66,018)	(16,750)	(4,307)	(3,614)	(90,688)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	55,621	6,936	15,867	8,038	86,462
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	65,536	8,106	12,693	7,018	93,354

შპს „ევო დისტრიბუშენ“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება		
დასაშვები ღირებულება 31.12.2017	31,067	31,067
შემოსვლა	1,173	1,173
გასვლა	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2018	32,240	32,240
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(9,050)	(9,050)
ცვეთა	(3,317)	(3,317)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(12,367)	(12,367)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	22,018	22,018
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	19,873	19,873

7. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
გასაყიდად გამიზნული საქონელი	2,003,827
მარკეტინგული საქონელი	12438.71
საწვავი	192
სულ	2,016,458

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,268,202
გამოქვითული საექვო მოთხოვნები	(430,348)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9,578
სულ	2,847,432

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	19,987
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	528,879
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,820
სულ	550,686

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	6,336,979
მიღებული ავანსები	110,486
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,559
სულ	6,450,024

11. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულებისგან.

12. შემოსავალი

2018 წლის შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
შემოსავალი რეალიზებული პროდუქციიდან	21,743,168
სულ	21,743,168

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	19,774,217
სულ	19,774,217

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2018 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
შრომის ანაზღაურება	758,559
კომუნალური ხარჯები	8,135
მივლინების ხარჯები	27,968
საიჯარო ქირა	77,510
კომუნიკაციის ხარჯები	7,335
დაზღვევა	7,345
საკონსულტაციო ხარჯები	52,660
ცვეთა და ამორტიზაცია	23,043
საბანკო მომსახურება	9,880
წარმომადგენლობითი ხარჯები ადმინისტრაცია	45,664
დაცვა	2,695
სხვა	30,512
სულ	1,051,306

15. მიწოდების ხარჯები

2018 წლის მიწოდების ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
მარკეტინგული დანახარჯები	19,732
მიწოდების სხვა ხარჯები	5,145
სულ	24,877

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

საქონლის/მომსახურების შეძენა

	2018
დამფუძნებლებთან განხორციელებული ბრუნვა	19,185,250
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	
განხორციელებული ბრუნვა	-
სულ	19,185,250

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან

	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	6,326,672
სავაჭრო ვალდებულებები სხვა დაკავშირებულ	
მხარეებთან	-
სულ	6,326,671.70

საქონლის/მომსახურების გაყიდვა

	2018
დამფუძნებლებთან განხორციელებული ბრუნვა	5,825
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	
განხორციელებული ბრუნვა	-
სულ	5,825

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების ბრუნვები და ნაშთები 2018 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად.

	ბრუნვა 2018	ნაშთი 31.12.2018
დამფუძნებელზე გაცემული სესხი	282,205	696,948
სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	-	-
სულ	282,205	696,948

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება 2018 წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	158,591
სულ	158,591

17. პირობითი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.